



„გახსოვდეს ზისი გორისა ხანი!“

# გვარი და ცნადიცია

10 (36)

ოქტომბერი 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

## საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა გვარების წინამძღოლთა დარბაზის შეკრება.

შეკრებას თავმჯდომარეობდა დარბაზის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ლევან ფრუიძე, მდივანი გახლდათ ხათუნა სხირტლაძე.

სიტყვით გამოვიდნენ:

– კვარაცხელიების გვარის წინამძღოლი თეიმურაზ კვარაცხელია. მან ისაუბრა კვარაცხელიების გვარის ჩატარებული ყრილობის შესახებ, მომავალი საქმიანობაზე და ამოცანებზე.

– ადამ ბექაური – ინფორმაცია გააკეთა 24 სექტემბერს ჩატარებული კრწანისობის შესახებ.

– თენგიზ მაისურაძემ, ისაუბრა მახათას მთაზე გვარიშვილთა ხეივანში გვარების წინამძღოლთა მიერ ნაკვეთის განმენდისა და ხეების მოვლის შესახებ.

– მიხეილ ჯიბუტი – წამონია საკითხი დარბაზის რეორგანიზაციისა და მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ამ საკითხზე სიტყვით გამოვიდნენ ბესიკ კოჭლამაზაშვილი, ფრიდონ ლოლაძე და ალექსი კობაიძე. ალექსი კობაიძემ კვლავ გამოამჟღავნა უტაქტობა და უპატივცემულობა კოლეგების მიმართ. იგი ვერ გაერკვა დარბაზისა და კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ორგანიზაციულ-სამართლებრივ და სტრუქტურულ საკითხებში. გამოამჟღავნა უცოდინარობა ამ ორი ორგანოს ფუნქციებში და საქმიანობის პერსპექტივებში. ალექსი კობაიძის ამგვარმა გამოსვლამ აღაშფოთა გვარის წინამძღოლები, გაიმართა ურთიერთშეურაცხყოფელი მიმართვები. ყველა გვარის წინამძღოლმა დაგმო ა. კობაიძის ქმედება. მოითხოვეს მისი გაძევება დარბაზიდან, ყოველივე ამის გამო დარბაზმა ვერ მიიღო ვერანაირი გადაწყვეტილება.

\*\*\*

2016 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები: ლ. ფრუიძე, ვ. ნადირაშვილი, თ. მაისურაძე, მ. ლეკვეიშვილი, ნ. სულამანიძე, რ. ბარამიძე, ზ. ჭუმბურიძე.

დღის წესრიგი: კავშირში ახალი წევრების მიღება, საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ წევრებად მიღებულ იქნენ: ხათუნა სხირტლაძე, მარატ კიტოვანი, ელგუჯა ბურდული, მიხეილ კვიციანი, ელენე კახნიაშვილი, ჯემალ ადამაშვილი, მზია ნიკლაური, ლეილა კოშაძე. საგვარეულო კავშირები: კეკუათა, გომუათა.

\*\*\*

2016 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა საგვარეულო კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ წევრთა საერთო კრება. იმის გამო, რომ არსებული გამგეობა არის უმოქმედო და ფაქტიურად ჩაშლილია მუშაობა, გადაწყდა არჩეულიყო ახალი გამგეობა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ლევან ფრუიძე, ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ხათუნა სხირტლაძე, ნინო სულამანიძე, მიხეილ კვიციანი, მზია ნიკლაური, მერაბ ლეკვეიშვილი, მარატ კიტოვანი.

გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ბატონი ლევან ფრუიძე, მოადგილეებად: ვაჟა ნადირაშვილი – ორგანიზაციულ და ეკონომიურ საკითხებში, თენგიზ მაისურაძე – მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების საკითხებში, ხათუნა სხირტლაძე – გვარებთან მუშაობის, აღრიცხვისა და საწევრო ანარიცხების საკითხებში.

## პაპა

ჩემი ბავშვობის ფერად ძაფებში მიყვარდა ჟღალი, წითური ფერი, წინდები მქონდა მგონი ამფერის და ჩითის კაბა უზომოდ ჭრელი.

მამის მუხლებზე ვიჯექი მახსოვს უდარდლობით ვისროდი სიტყვებს, მე მის მზერაში სხივებს ვხედავდი მათში ვხედავდი უზადო მზის ფერს.

მეფერებოდა, როგორ მკოცნიდა?! ის ჩემი სუნთქვით სუნთქავდა ვიცი ჩემს გულისცემას აყურადებდა თითქოს უხტოდა დროდადრო შიში.

წუხილს და შფოთვას აფერმკრთალებდა მიფერადებდა ოცნებას ყველას,

ის ჩემს ბავშვობას ზღაპარში ქსოვდა, რომ მე არ მეგრძნო დაღლა ან წყენა.

თავბრუს მახვევდა მისი ალერსი ყოველი სიტყვა, ხელების სითბო, ეს იყო ბევრად იმაზე მეტი ვიდრე შვილი ან მშობელი ითხოვს.

ყველა სარბიელს, ცხოვრების ბილიკს პირველი თავად ურჩევდა ნაპირს, მე მივყვებოდი თვალდახუჭული ის კი დაღლილი ზომავდა მანძილს.

ფერად ტალღებში ვცხოვრობდი ლაღად, „მამის სიცოცხლე“ და „თვალის ჩინი“ მე ახლა უფრო ბევრს ვხვდები რადგან ახლა თავად ვარ დედაც და შვილიც.

მამის რბილ ფუნჯებს მე კვლავაც ვხედავ ფერებს გადაშლილს აზავებს რიდით, ახლა ჩემს შვილებს უხატავს ზღაპრებს მათ დასტრიალებს შფოთიან ფიქრით.

ჩემი ბავშვობის ფერად ძაფებში მიყვარდა ჟღალი, წითური ფერი წინდები მქონდა მგონი ამ ფერის და ჩითის კაბა უზომოდ ჭრელი.

ახლა ჩემს შვილებს უყვართ სიჭრელე ჭრელი წინდები, სიზმრები ჭრელი და მამაც უქსოვს, უხატავს ზღაპრებს ისევ ტრიალებს და შფოთავს ხელი...

მარიკო მაისურაძე  
1.04.2016

# ვიზიტი მსოფლიო პატრიარქთან



2015 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს სამეფო სახლის მეთაური, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ქალაქ სტამბულის საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვდა კონსტანტინეპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოს, მის ღვთაებრივ ყოვლადუნმინდესობას, მსოფლიო პატრიარქ ბართლომე პირველს.

შეხვედრისას ბატონიშვილმა ნუგზარმა მსოფლიო პატრიარქი დააჯილდოვა სამეფო სახლის უმაღლესი ჯილდოთი - წმ. მეფე დავით მეფესალმუნეს სამეფო ორ-

დენით. როგორც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ათენაგორა იუწყება, მისი ყოვლადუნმინდესი მსოფლიო პატრიარქი ბართლომე იყო ძალზედ კმაყოფილი და გამოხატა უღრმესი მადლიერება ბატონიშვილისადმი, რის შემდგომაც მიულოცა მას 65 წლის იუბილე და მიართვა განსაკუთრებული საჩუქარი.

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის 65 წლის თარიღის აღსანიშნავად, მისმა ყოვლადუნმინდესმა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომე პირველმა ბატონიშ-

ვილს გადასცა ვერცხლის დისკო, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობლის ხატი და მსოფლიო პატრიარქის პირადი ბეჭედი. აგრეთვე, უბოძა მას ოქროს მედალი მსოფლიო პატრიარქის გამოსახულებით და წარწერით - "ბართლომე I, სიყვარულის, მშვი-



## რომის პაპის ორდენი საქართველოს სამეფო სახლის მეთაურს

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრემ, ან უკვე, პილიგრიმის ტიტულის მქონე ბატონიშვილმა ნუგზარმა, წმინდა მიწაზე მომლოცველობისას ასევე მიიღო იერუსალიმის პილიგრიმის ოქროს ჯვრის ორდენი (i.e., Signum Sacri Itineris Hierosolymitani), რომელიც გაცემა რომის პაპის მიერ და განსაზღვრულია წმინდა მიწაზე მომლოცველ რჩეულ პირთათვის მათი დამსახურების გამო.

ასევე, ებრაელთა ეროვნული ფონდის მიერ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრისა და ბიბლიური წმიდა მეფე დავითის შთამომავლის მომლოცველი ბატონიშვილი ნუგზარის სახელზე ისრაელში ჩარგული იქნა ხე.



დობის და იმედის მოციქული".

სხვა სასულიერო პირთა შორის შეხვედრას ესწრებოდა მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრი, მექსიკის, ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნების მიტროპოლიტი, მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა ათენაგორა. ასევე, საქართველოს სამეფო სახლის კანცლერი ბატონი კახა ქორიძე.

2016 წლის 8/21 სექტემბერს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, მისი სამეფო უმაღლესობა, მომლოცველი ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, მართლმადიდებლობის ერთიანობისათვის განეული ღვანლისათვის დაჯილდოვდა ღირსების საერთაშორისო ორდენით. აღნიშნულ ორდენს ხელს აწერს მსოფლიო საპატრიარქოს მიტროპოლიტი, მექსიკის, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების მიტროპოლიტი, სამხრეთ ამერიკის მართლმადიდებელ პატრიარქთა ასამბლეის პრეზიდენტი, მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესი ათენაგორა.

# ვიზიტი წმინდა მიწაზე



გრუზინსკიმ მის უნეტარესობას, თეოფილე მესამეს უბოძა წმინდა დავით მეფსალმუნეს უმაღლესი დინასტიური ირდენი და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელოვან ღვაწლს მართლმადიდებლურ სამყაროში. თავის მხრივ, მისმა უნეტარესობამ, თეოფილე მესამემ დიდი მადლიერება გამოხატა სამეფო ოჯახის მიმართ, დალოცა და დაასაჩუქრა ისინი წმინდა ნივთებით.

2016 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს სამეფო ოჯახი იმყოფებოდა ვიზიტით მის უნეტარესობასთან, წმინდა ქალაქ იერუსალიმის პატრიარქთან, თეოფილე მესამესთან. საქართველოს სამეფო ოჯახი მიღებულ იქნა დიდი სითბოთი და სიყვარულით მისი უნეტარესობის მხრიდან.

ვიზიტისას საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, მისმა სამეფო უმაღლესობამ, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონ-

მისმა უნეტარესობამ ბატონიშვილ ნუგზარს მიანიჭა მომლოცველი ბატონიშვილის ტიტული (Pilgrim Prince).

საუბრისას მისი უნეტარესობა ასევე დაინტერესდა საქართველოს ვითარებით და მასში მიმდინარე პროცესებით, ვიზიტმა თბილ და შინაურულ ატმოსფეროში ჩაიარა,

სამეფო ოჯახის წმინდა მიწაზე ვიზიტისას, საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, მისმა სამეფო უმაღლესობამ, ბატონიშვილმა ნუგზარმა ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან მიიღო "იერუსალიმის მომლოცველის"

## წმინდა ქალაქი და ქართველი გვირგვინოსნები

წმინდა მეფე ვახტანგ III



მამა: წმ. დემეტრე II თავდადებული;  
დედა: თეოდორა, ტრაპიზონის იმპერატორ მანუილ II-ის ქალიშვილი;  
დაბადება: დაახლ. 1275 წ.  
გარდაცვალება: 1304/1308 წ.  
მეფობის წლები: 1298-1304/1308 წწ.

1295-1304 წლებში, ვახტანგ III მონაწილეობას იღებდა ილხან ყაზან ყაენის ლაშქრობებში.

1299-1300 წლებში ილხანმა ეგვიპტის სულთნის დამარცხების შემდეგ დაიკავა ალუბო, დამასკო და სირიის სხვა ქალაქები ამ გამარჯვებაში მთავარი როლი ქართულმა ჯარმა ითამაშა, რომელიც ვახტანგ მეფის სარდლობის ქვეშ იბრძოდა.



1300 წელს, როდესაც ილხანმა აიღო იერუსალიმი, წმინდა ქალაქი გარკვეული დროით ვახტანგ III-ის მართველობაში გადავიდა. ამ ისტორიული მოვლენის შემდგომ თითქმის 700 წელზე მეტი გავიდა და უფლის შეწევნით,



ამა წლის 12 სექტემბერს, წმინდა ქალაქ იერუსალიმს ვიზიტით ეწვია ქართველ გვირგვინოსანთა პირდაპირი მემკვიდრე, მისი სამეფო უმაღლესობა, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, რომელიც დიდი სითბოთი და სიყვარულით იქნა მიღებული იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე მესამის მიერ.

ნიშვილმა ნუგზარმა ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან მიიღო "იერუსალიმის მომლოცველის"

ოფიციალური ატესტაცია სერთიფიკატის სახით. სერთიფიკატი ხელმოწერილი იქნა ისრაელის ტურიზმის მინისტრისა და კნესეთის წევრის იარივ გიდეონ ლევიანის მიერ (რომელიც წარსულში ისრაელის საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი იყო) და ასევე, იერუსალიმის მერის - ნირ ბარკეტის მიერ.

სამეფო ოჯახის წმინდა მიწაზე ვიზიტისას, საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარმა ასევე მიიღო "იერუსალიმის მომლოცველის" სერთიფიკატი წმინდა ქალაქ იერუსალიმში არსებული Custodia Terræ Sanctæ - წმინდა ადგილების მეურვე (მცველთა) პრიორატის, 13 საუკუნის ფრანცისკანური ორდენის მხრიდან, რომელსაც ხელს აწერს იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს მდივანი მეუფე სერგიო გალდი.



# სულამანიძეთა

## გვარის შეკრება

2016 წლის 1 ოქტომბერს გაიმართა სულამანიძეთა საგვარეულო კავშირის ტრადიციული შეკრება. ამჯერად ისინი ქ. თბილისში შეიკრიბნენ. დილოში, წმინდა ლაზარეს აღდგინების ტაძარში აღავლინეს სამადლობელი პარაკლისი.

დასასრულს გაიმართა საზეიმო ტრაპეზი. შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან ფრუიძე და მისი მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი.



# ბაღდავაძეების შეკრება – 2016

სამტრედიისა და ჭყვიშის შემდეგ ბაღდავაძეების საგვარეულო კავშირი შეიკრიბა ვანის რაიონის სოფელ ზენობანში, ბაღდავაძეების კომპაქტურად დასახლებულ ადგილას. შესაძლოა აქ წარმოშობილიყო ბაღდავაძეების გვარი. ამ სოფელში აშენებს ეკლესიას ცნობილი ბიზნესმენი დემურ ბაღდავაძე.

ზენობანში ჩამოვიდნენ თბილისიდან, სამტრედიიდან, ბორჯომიდან და სხვა კუთხეებიდან. ბაღდავაძეებმა სოფელში აღმართეს ნიში, რომელშიც ბაღდავაძეებმა დააბრძანეს მათი საგვარეულო ხატი – მთავარანგელოზი მიქაელის ხატი. ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს.

შეკრება დასრულდა საზეიმო ტრაპეზით. შეკრებას ესწრებოდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი.



# ზოგორ დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების სუიტებზე

ნაწყუფი კანდიდ ჩატჯიანის წიგნიდან „სცალინთან უბთიუბთობის ეპიტოფი“

ქართულ ლინგვისტოლოგია უფროსი თაობის წარმომადგენლები კვლავ უჩიოდნენ მარისტების მოძალებას ენათმეცნიერებაში და კონკრეტულად მიუთითებდნენ მარის ახალი ენათმეცნიერული თეორიის გავრცელების მავნე შედეგებზე საბჭოთა მეცნიერებისათვის. ამ საკითხზე ჩვენთან სპეციალურად მოვიდა, მაგალითად, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და დაწვრილებით გამაცნო თავისი კრიტიკული მოსაზრებები ენების სტადიური კლასიფიკაციის მიმართ.

ისეთ სპეციალურ დარგში შეჭრა, როგორც ენათმეცნიერება, რესპუბლიკური ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისათვის საკმაოდ უჩვეულო საქმე იყო. ამიტომ ამ შემთხვევაში კიდევ მეტი სიფრთხილე გვმართებდა. საკითხი, ბუნებრივია, პირადად მე უნდა დამეყენებინა და მისი მომზადებაც მე მევალებოდა. საჭირო იყო მარის თეორიის საფუძვლიანი გაცნობა თვით მარის ნაშრომების მიხედვით.

მარის იაფეტური თეორიის მცდარობის გამო სტალინთან პირველი საუბრის შემდეგ უკვე სამნახევარინელი იყო გასული, როცა შევძელი ამ საკითხს დავბრუნებოდი. ყურადღებით წავიკითხე მარის „რჩეული ნაშრომები“ რამდენიმე ტომი, ხოლო ნაშრომები, რომელიც მარის ახალ ლინგვისტურ თეორიას შეეხებოდა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგად შევისწავლე. ამავე დროს მოვიძიე და გადავიკითხე ენის პრობლემასთან დაკავშირებული მარქსისტული ლიტერატურა. ყოველივე ამის შედეგად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქართველი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები მართლები იყვნენ: მარის თეორიას ენათა სტადიური განვითარების შესახებ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა და ის ვულგარული მატერიალიზმის სანყისებზე იყო აგებული.

ეჭვი არ რჩებოდა, ამ თეორიის ფსევდომარქსისტული არსის გამოსავლენად მისი საჯარო განხილვა უნდა მოწყობილიყო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მიძნელებოდა. მე ხომ კარგად ვიცოდი მარის, ამ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერების, დამსახურება ქართული ფილოლოგიის, ისტორიოგრაფიის წინაშე. ნ. მარმა არსებითად შექმნა ნამდვილად მეცნიერული ქართული ფილოლოგია. მის მიერ განეული ჭეშმარიტად უზარმაზარი შრომა ქართული ლიტერატურის მთელ მსოფლიოში გაბნეული უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოსაძებნად,

შესასწავლად და ნამდვილი ტექსტების აღსადგენად დიდად ფასდება მეცნიერებაში და ჩვენი საზოგადოების მიერ.

ჩვენი ხალხისათვის ძვირფასი და დაუფინყარია მისი სახელი.

მაგრამ მარის სამეცნიერო მოღვაწეობა ხომ ეროვნულ ჩარჩოებში არ ეტევა. ის სრულიად საკავშირო, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი იყო. ეს კიდევ უფრო ართულებდა ჩემს ამოცანას.

1949 წლის დეკემბერში მე, როგორც სტალინის დაბადებიდან 70 წლისათვის ჩამტარებული კომისიის წევრი, მოსკოვში მიმინვიეს. დედაქალაქში ჩვეულებრივი საქმიანი გამგზავრებისაგან განსხვავებით ამჯერად იქ ცარიელი პორტფელით უნდა წავსულიყავით: საიუბილეო ზემის დღეებში ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში ან სამინისტროებში საქმიანი საკითხებით მისვლა უხერხული იქნებოდა. ამიტომაც თან წავიღე მხოლოდ და მხოლოდ მარის ბოლოდროინდელ ლინგვისტურ თეორიასთან დაკავშირებული მასალები და სხდომებისა და მიღებებისაგან თავისუფალდროს სტალინის სახელზე ბარათი დავწერე.

თავისი სქემით მარი ქართულ ენას მიაკუთვნებს თითქმის გაქვავებულ, განვითარების უნარს მოკლებულ ენათა ჯგუფს. ქართული საბჭოთა კულტურისათვის ეს დამამცირებელი, სრულიად დაუსაბუთებელი „თეორია“ მარმა შეთხზა მიუხედავად იმისა, რომ წინანდელ თავის ნაშრომებში ის არაერთხელ უსვამდე ხაზს ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, გამომსახველობასა და მოქნილობას, ენისა, რომელიც, მისივე სიტყვებით, თავისი ისტორიის მანძილზე წარმატებით უძლებდა ისეთი მსოფლიო ენების მეტოქეობას, როგორიცაა არაბული, ებრძული და სპარსული.

ბარათი გადავეცი სტალინის თანაშემწეს, ა. პოსკრებიშევს, 1949 წლის 27 დეკემბერს. თვეები გადიოდა, ჩემი ბარათის შესახებ კი არაფერი ისმოდა. 1950 წლის პირველ კვარტალში მოსკოვში ვიყავი, სტალინს შევხვდი, მაგრამ მას ბარათი არ უხსენებია. ვიფიქრე, რომ ჩემს მიერ დაყენებულმა საკითხმა სტალინს ინტერესი არ აღუძრა და საქმე ამით დამთავრდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი. 1950 წლის აპრილის დასაწყისში, საღამოს ჟამს, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა, სტალინმა დამირეკა.

–წავიკითხე თქვენი ბარათი ენათ-

მეცნიერების შესახებ – თქვა მან, – საკითხი იმად ღირს, რომ მასზე დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. ჩამოდით მოსკოვში. ენათმეცნიერებიდან ვის ჩათვლიდით საჭიროდ, რომ წამოგყვანათ?

– პროფესორ ჩიქობავას, ამხანაგო სტალინ, – ვუპასუხე ისე, რომ არც დაფიქრებულვარ, – ის ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაჩინო სპეციალისტია და საკითხის გარკვევაში დიდ სარგებლობას მოიტანს.

– კარგი, ჩამოიყვანეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ა. ჩიქობავა უკვე მოსკოვში ვიყავით. ამის შესახებ მაშინვე ვაცნობე სტალინის სამდივნოს. იმავე საღამოს მიგვიპატიჟეს სტალინის აგარაკზე. სტალინი ცოტა არ იყოს ოფიციალურად შეგხვდა, უსიტყვოდ ჩამოგვართვა ხელი, შებრუნდა, გამოიღო თაროდან „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ იმ ხანებში გამოსული პირველი ტომი, გახსნა ის სიტყვაზე „ბლუზა“ და თქვა:

– თქვენ სწორად შენიშნავთ, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება ფრანგული „blaise“,–დან, მაგრამ ის ქართულ ენაში არა უშუალოდ, არამედ რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა. განა საჭიროდ არ მიგაჩნიათ, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში ეს მომენტი აღინიშნოს ლექსიკონში? ის ხომ ერთგვარად ახასიათებს ქართული ენის კავშირებს უცხოურ ენებთან თითქმის უკანასკნელი საუკუნენახევრის მანძილზე?

–სავსებით მართალია, ამხანაგო სტალინ, – უპასუხა შეკითხვაზე ა. ჩიქობავამ, რომელიც ლექსიკონის მთავარი რედაქტორი იყო, – შეიძლება ბლუზის შემთხვევაში ჩვენ ეს გამოგვრჩა, ისე კი ყველა ამგვარ სიტყვას ვცდილობთ სათანადო რემარკა მივცეთ.

საუბარი ჯერ ლექსიკონის გარშემო მიმდინარეობდა, შემდეგ კი თანდათანობით მარის თეორიაზე გადავიდა. სტალინის ნახევრადოფიციალური ტონიც თანდათან ინტიმურით შეიცვალა, პროფესორ ჩიქობავასაც პირველი შეხვედრით გამოწვეულმა შებოჭილობამ გაუარა და ჩვენმა საუბარმა გაცხოველებული ხასიათი მიიღო.

სტალინმა ყურადღებით მოისმინა ა. ჩიქობავას საბუთები და მოსაზრებები ენების მარისეული სტადიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ, ზოგიერთ საკითხზე თავისი აზრიც გამოთქვა და ბოლოს მე მითხრა:

– რატომ აყენებთ საკითხს ისე, რომ მარის თეორიის კრიტიკით მარ-

ტო საქართველოს პრესა გამოვიდეს? ეს არ არის ადგილობრივი, ლოკალური საკითხი. ის ცენტრალური პრესის ფურცლებზე უნდა გამოვიტანოთ, ამასთან უნდა მოენყოს არა ცალმხრივი კრიტიკული გამოსვლები მარის თეორიის წინააღმდეგ, არამედ დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც ყველა მიმართულების ენათმეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას.

– ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, ამხანაგო სტალინ, – ვუპასუხე მე.

– მაგრამ ვინ დაინყებს? – იკითხა სტალინმა და ახლა პროფესორ ჩიქობავას მიუბრუნდა, – აი თქვენ უნდა გამოხვიდეთ პირველი. დაწერეთ სტატია მარის თეორიის შესახებ, ენათმეცნიერების მდგომარეობაზე და ჩვენ მას დავბეჭდავთ „პრავდაში“ დისკუსიის წესით.

პროფესორი ჩიქობავა დიდი ხანია ისწრაფოდა საჯაროდ შერკინებოდა ენების სტადიური განვითარების თეორიის მიმდევრებსა და დამცველებს და წინადადებაზე უარი არ უთქვამს, პირიქით, მან ის სიამოვნებით მიიღო.

გადაწყდა, რომ სტატია დაინერებოდა მოსკოვში, რათა დროზე ყოფილიყო შეთანხმებული და მომზადებული გამოსაქვეყნებლად.

საუბრის დასასრულს პოლიტიუროს ზოგიერთმა წევრმაც მოუსწრო. მხარი დაუჭირეს ენათმეცნიერების საკითხებზე დისკუსიის მოწყობას.

რა თქმა უნდა, სტალინმა ვახშამზე მიგვიწვია. ვახშმის დროს სტალინი ამჯერადაც მხიარული და ენაწყლიანი იყო. განსაკუთრებული ყურადღებით ის ეპყრობოდა ა. ჩიქობავას, როგორც სტუმარს, რომელმაც მისი სახლის ზღურბლს პირველად გადააბიჯა.

მეორე დღიდანვე ა. ჩიქობავა დავალების შესრულებას შეუდგა. შეკრიბა დამატებითი მასალები და მალე სტატიის წერაც დაიწყო. მე კიდევ 10 თუ 12 დღე მოსკოვში დავრჩი სხვა საკითხების მოსაგვარებლად. ზოგიერთი მათგანის გამო კრემლში სტალინთან მისვლაც მომიხდა. ჩემს მიერ დაყენებული საკითხების განხილვის შემდეგ სტალინმა მკითხა:

– როგორ მიდის ჩიქობავას საქმე?

– კარგად, ამხანაგო სტალინ, სტატია იწერება.

ამის შემდეგ სტალინმა მაგიდიდან აიღო ჩემი ბარათი ენათმეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, „თუ გსურთ, შეგიძლიათ წაილოთ, ჩვენ აქ ასლი დავგვრჩე“

# ზოგორ დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე

← ბა“, – მითხრა და გადმოშვა. შევამჩნიე, რომ წერილის კიდეები შენიშვნები იყო აჭრელებული. ძალიან გამეხარდა ამ სახით მისი უკან მიღება. მადლობა მოვახსენე სტალინს და დოკუმენტი საქალაქში ჩავდე.

როგორც კი ბინაზე დავბრუნდი, შევუდექი ბარათზე სტალინის მინაწერების გარჩევას. შენიშვნებმა დამარწმუნა, რომ სტალინს წერილი მთლიანად დასაბუთებულად მიუჩნევია. მიუხედავად ამისა, იქ მაინც აღმოჩენილა რამდენიმე ადგილი, რომელსაც ფრიად მომთხოვნი ადრესატი ვერ დაუკმაყოფილებია.

ასე, მაგალითად, იმ აბზაცის გვერდით, სადაც ნათქვამია, რომ მარის მიერ ქართული ენის თითქმის გაქვევებულ ენათა ჯგუფისათვის მიკუთვნება დამამცირებელია ქართული საბჭოთა კულტურისათვის, სტალინს მიუწერია ირონიული – „ჰა-ჰა-ჰა“, მაგრამ იმ დღეებში ტალინთან შემდგარი საუბრის შემდეგ ეს რემარკა აღარ გამკვირვებია. მაშინ, იმავე საკითხზე მე იგივე აზრი გამოვთქვი, რასაც სტალინის შემდეგი შენიშვნა მოჰყვა:

– თუ მარის ეს თეზისი მეცნიერულად დასაბუთებულია, იგი უნდა მივიღოთ: ჭეშმარიტების წინააღმდეგ ვერაფერს გაანყო. ხოლო თუ ის, თქვენი აზრით, სწორი არ არის, თვითნებურია, მაშინ ამბიციას კი არ უნდა აჰყვეთ, არამედ თქვენი შეხედულება მეცნიერული მსჯელობით უნდა დაამტკიცოთ.

მაშასადამე, სტალინი დაუშვებლად თვლიდა რაიმე მოსაზრებით

მეცნიერების დასკვნათა უგულვებელყოფას, იგნორირებას, მეცნიერული კრიტიკით მათი გაბათილების ნაცვლად მათ დისკრედიტაციას ემოციების მოშველიებით.

ორმაგი „ჰა-ჰა-ჰა“ დაემსახურებინა აბზაცს, სადაც მე ვამბობ, რომ მარის სქემა თეორიულ იარაღს აწოდებს ანგლო-საქსონელ იმპერიალისტებს, რომლებიც თავის ენას მსოფლიოში ყველაზე მონინავე ენად აცხადებენ.

ჩემი ბარათის მე-5 პუნქტი შეიცავს მტკიცებას იმის შესახებ, რომ კაცობრიობის კულტურისა და მასთან ერთად ენის ხმელთაშუა ზღვის რაიონის დასავლეთ ნაწილში წარმოშობის მარისეული ჰიპოთეზა კიდევ ერთ არგუმენტს აძლევს ინგლის-ამერიკელ რასისტებს, ამტკიცონ „ატლანტიკელი“ ადამიანის უპირატესობა სხვა რასებზე. ამ პუნქტისათვის სტალინს მიუწერია: „ინგლის-ამერიკელები არაფერ შუაში არიან“. და მართლა, ევროპასა და ამერიკაში, ალბათ, არ მოიპოვება მეცნიერი, რომელიც არ თვლის, რომ თანამედროვე ევროპელი ხალხების წინაპრები სამხრეთ აზიიდან არიან მოსულები. მარი კი ლაპარაკობს კულტურისა და ენის ჩასახვაზე ხმელთაშუა ზღვის რაიონის დასავლეთ ნაწილის იმ მკვიდრთა შორის, რომლებიც იქ არიან მისთვის უცხოვრობდნენ. არგუმენტი უნდა ყოფილიყო მარის ეს ჰიპოთეზა ინგლის-ამერიკელი რასისტებისათვის? სტალინმა სავსებით სწორედ შენიშნა ბარათის ამ პუნქტის უსაფუძვლობა.

ბარათის მე-6 პუნქტისათვის, სა-

დაც გაკრიტიკებულია მარის დასაბუთებები საბჭოთა ხალხების დამწერლობის ლათინურ ალფაბეტებზე გადაყვანის სასარგებლოდ, სტალინს რამდენიმე რემარკა გაუკეთებია. იქ, სადაც ლაპარაკია წინათ არაბული დამწერლობის მქონე საბჭოთა ხალხებისათვის ლათინური ანბანის შემოღებაზე, მას კიდევ მიუწერია: „ეს წერილმანია“. იქ კი სადაც მსგავსი წინადადებაა წამოყენებული ქართველებისათვის, შეუნიშნავს: „პრიფტი-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს“. ამგვარად, ბარათის კითხვის პროცესში სტალინი თავდაპირველად საკმაოდ ლიბერალურად შეხვდებოდა მარის მოთხოვნებს ზოგიერთი საბჭოთა ხალხის ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ. მაგრამ, როცა სტალინი იმ ადგილამდე მისულა, სადაც მოტანილია მარის სიტყვები – „სულ ერთია, ადრე თუ გვიან რუს ხალხს მოუხდება ამ ნაბიჯის გადადგმა“ – მისთვის მოთმინებას უღალატია. „სისულელეა“ – მიუწერია ამ ადგილის გასწვრივ სტალინს.

საგულისხმოა, რომ მარის ახალი ენათმეცნიერული თეორიის უსაფუძვლობის გამო სტალინი სრულებითაც არ უარყოფდა მარის დიდ როლს მეცნიერებაში. ბარათის დასკვნით ნაწილში, როგორც ვნახეთ, ლაპარაკია მარის ფასდაუდებელ ღვაწლზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის, კავკასიური ენების შესწავლის, კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის პრობლემები სგაშუქებაში. სტალინს ამ ადგილას პირდაპირ მიუწერია: „მარის დამსახურება მარტო ეს არ არის“.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სტალინის კრიტიკული და სხვა შენიშვნები ჩემს მიერ ცენტრალურ კომიტეტში წარდგენილი ბარათის ცალკეული ადგილების მიმართ სამართლიანი და საინტერესო იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპული ხასიათის შენიშვნა კი სტალინს ბარათის მეორე გვერდზე გაეკეთებინა. იქ მოტანილია ადგილები მარის ნაშრომებიდან, სადაც იგი თავგამოდებით ამტკიცებს – არაკლასობრივი ენა არსად და არასოდეს ყოფილაო. ამ ტირადების გასწვრივ ტექსტის კიდევ სტალინს დაუწერია: „სისულელეა! კლასობრივი ენები არ არსებობს“.

როცა ა. ჩიქობავამ სადისკუსიო სტატიის პირველი ნაწილი დაასრულა, მე ის ავტორთან ერთად წავიკითხე და შემდეგ სტალინს აგარაკზე მივუტანე. სტალინს მაშინ ბულგარელი ხელმძღვანელები ჰყავდა სტუმრად და არ იყო მოსალოდნელი, რომ უახლოეს დღეებში ის სტატიის ნაკითხვას შეძლებდა. სამსახურებრივი საქმეები მოსკოვში დარჩენის საშუალებას აღარ მაძლევდა. ამიტომ სტალინისგან ნებართვა გამოვითხოვე და თბილისში გამოვემგზავრე, აკადემიკოსმა ა. ჩიქობავამ კი დედაქალაქში კიდევ ათი თუ თორმეტი დღე დაყო, კვლავ შეხვდა სტალინს და საბოლოო სახე მისცა თავის სადისკუსიო ნაშრომს.

1950 წლის 9 მაისს „პრადამ“ ორ გვერდზე მეტი დაუთმო ა. ჩიქობავას სტატია. ამით დაიწყო თავისუფალი დისკუსია საბჭოთა ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც სტალინმაც მიიღო მონაწილეობა.

## აკითხველთა საყურადღებოდ!

მონოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

### ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ „გვარი და ტრადიციასთან“, მოგვანოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ E-mail: [vaja39@mail.ru](mailto:vaja39@mail.ru)

ISSN 2449-2280  
 გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ: [www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

### ჩვენი რეკვიზიტებია:

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ფონდი  
 ს/კ 404953154  
 ბანკი: „რესპუბლიკა“ ბანკი  
 ა/ა GE51BR0000010385861378

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი  
 საკონტაქტო ტელეფონები:  
 790770871; 593 531 950

### სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუჩია  
 ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01  
 თინათინ მანუშაძე ტელ: 599 97-41-90  
 მერაბ ლეკვიშვილი ტელ: 577 41-02-00  
 ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი  
 საკონტაქტო ტელეფონი: 790770871